საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოვადგენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -4- ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი
№ 09-01-08/87
13 03 2020

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. უმაღლესი საბჭოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება დისტანციურად, სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, დასაშვებია ობიექტური გარემოებების არსებობისას.“.

2. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 69^1 მუხლი:

„მუხლი 69^1. საგანგებო სესია

საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის ან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტ(ებ)ში) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, თუ აღნიშნული პერიოდი ემთხვევა უმაღლესი საბჭოს მორიგ ან რიგგარეშე სესიას, უმაღლესი საბჭო მუშაობას აგრძელებს საგანგებო სესიის რეჟიმში. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიის პლენარული სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2020 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

რეგლამენტის პროექტი მიზნად ისახავს იმ აუცილებელი ცვლილების მიღებას, რომელიც შესაძლებელს გახდის, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით უმაღლესი საბჭოს მუშაობის დისტანციურად წარმართვას. მოქმედი რეგლამენტის მიხედვით, საკითხების განხილვისათვის უმაღლესი საბჭო იკრიბება მის ადგილსამყოფელში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ცენტრში - ქალაქ ბათუმში. ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში კი უმაღლეს საბჭოს არ აქვს შესაძლებლობა დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით იმოქმედოს.

რეგლამენტის პროექტით შემოთავაზებული ცვლილების განხორციელება აუცილებელია, რათა რეგლამენტში გაჩნდეს შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც სამართლებრივად საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს საქმიანობა წარიმართოს დისტანციურად, სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

პროექტის მიღების მიზეზს ასევე წარმოადგენს ის გარემოება, რომ რეგლამენტით არ არის განსაზღვრული თუ რა რეჟიმში აგრძელებს უმაღლესი საბჭო საქმიანობას, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცხადდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობა.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

რეგლამენტის პროექტის მიზანია შეიქმნას ისეთი სამართლებრივი საფუძველი, რომლის პირობებშიც შესაბამისი ობიექტური გარემოებების არსებობისას სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით შესაძლებელი იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის დისტანციურად წარმართვა.

პროექტის მიღების მიზანს ასევე წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გმოცხადების დროს უმაღლესი საბჭოს მიერ საგანგებო სესიის რეჟიმში მუშაობის გაგრძელების სპეციალური სამართლებრივი რეგულაციის დადგენა.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

რეგლამენტის პროექტის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლს ემატება 1^1 პუნქტი, სადაც რეგულირებულია ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიურიმ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის დისტანციურად წარმართვის შესაძლებლობა.

პროექტის თანახმად, რეგლამენტს ემატება 69^1 მუხლი - საგანგებო სესია, რომლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის ან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტ(ებ)ში) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, თუ აღნიშნული პერიოდი ემთხვევა უმაღლესი საბჭოს მორიგ ან რიგგარეშე სესიას, უმაღლესი საბჭო მუშაობას აგრძელებს საგანგებო სესიის რეჟიმში. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიის

პლენარული სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგს იქონიებს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 3. უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელი

1. უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელია ქობულეთის მუნიციპალიტეტი – დაბა ჩაქვი. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, უმაღლესი საბჭოს პლენარული (რიგგარეშე) სხდომის (სესიის) გამართვა შესაძლებელია ამ პუნქტში აღნიშნული ადგილსამყოფლის გარეთ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტში.

2. უმაღლესი საბჭოს საქმიანობის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭო ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის ხელმისაწვდომობის მიზნით, უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული შენობის შესაბამისი საჭიროებებით აღჭურვას.

4. უმაღლესი საბჭოს წევრებისა და თანამდებობის პირების კაბინეტებში, პლენარულ სხდომათა დარბაზში, ბიუროს სხდომათა ოთახში საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით და დაცვით, მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო დროშა და საქართველოს სახელმწიფო გერბი, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი.